თამბაქოს „ახალი“ პროდუქტები, ელექტრონული სიგარეტები და გასახურებელი თამბაქო

ელექტრონული სიგარეტები და გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები ერთმანეთისგან განსხვავებული თამბაქოს ნაწარმია, თუმცა ორივე თამბაქოს „ახალი“ პროდუქტების კატეგორიას განეკუთვნება. თამბაქოს ინდუსტრია ამ პროდუქტებს ხშირად „ახალი თაობის“ პროდუქტებს უწოდებს და მანიპულირებს მოსაზრებით, რომ ისინი უფრო უსაფრთხოა ვიდრე ტრადიციული სიგარეტი. ბოლო პერიოდში გაიზარდა თამბაქოს ახალი პროდუქტების პოპულარობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, როგორიც არის ელ. სიგარეტები და გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები (მ.შ. IQOS). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ამ ახალ პროდუქტებს „ეჭვგარეშე მავნე“-ს უწოდებს. დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ამ პროდუქტების რეგულირების მხრივ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან ეს ქვეყნები უფრო მოწყვლადია, ასევე მაღალი ალბათობით გამოიწვევს ადიქციას (დამოკიდებულებას) პოპულაციაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. გამომდინარე აქედან საერთაშორისო გაერთიანება ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადების წინააღმდეგ (The Union) რეკომენდაციას უწევს ამ პროდუქტების მკაცრ რეგულირებას, რაც მოიცავს როგორც მათი რეალიზაციის, წარმოების, იმპორტის და ექსპორტის აკრძალვას, ასევე მათი რეკლამირების, პოპულარიზაციის და სპონსორობის აკრძალვას. განსაკუთღებით ხაზგასასმელია, რომ თამბაქოს ახალი პროდუქტები არ წარმოადგენს ტრადიციული თამბაქოსთვის თავის დანებების საშუალებას.

ელექტრონული სიგარეტები

ელექტრონული სიგარეტი საერთაშორისო ბაზარზე პირველად 2006 წელს გამოჩნდა. ეს არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისგან: სატუჩე, ელემენტი, გახურებადი ნაწილი და კარტრიჯი, რომელიც შეიცავს სითხეს. სწორედ ამ სითხის გახურების შედეგად წარმოიქმნება აეროზოლი, რომელსაც ჩაისუნთქავს მომხმარებელი.

ფაქტები:

გამოყენება: ეს პროდუქტები შესაძლოა იყოს მრავალჯერადი ან ერთჯერადი გამოყენების. არ შეიცავს თამბაქოს, მაგრამ როგორც წესი შეიცავს ნიკოტინს.

ნიკოტინი: ელ. სიგარეტებში ნიკოტინის შემცველობა მერყევია და ბოლო 5 წლის განმავლობაში (2013-2018) თითქმის 107%-ით (2,10%-დან 4,34%-მდე) გაიზარდა. ასევე შეიცვალა კარტრიჯის სითხის შემადგენლობა. თავისუფალი ნიკოტინი, რომელიც არის უხეში და მომწარო, ჩანაცვლდა ნიკოტინის მარილით. რადგან ნიკოტინის მარილი იქმნება ბენზოის მჟავის გამოყენებით, მის მიერ წარმოქმნილი აეროზოლი შედარებით მარტივი ჩასასუნთქია.

შემადგენლობა: ელ. სიგარეტები შეიცავს პროპილენ გლიკოლს, გლიცერინს, სხვა გამხსნელებს და
დანამატებს.

ვიზუალი: ზოგიერთი ელ. სიგარეტი არის მომცრო ზომის და წააგავს ჩვეულებრივ სიგარეტს, სიგარას, კალამს, USB მოწყობილობას ან სხვა მიმსგავსებულ ნივთს. ხოლო ელ. სიგარეტის „ცისტერნები“ უფრო დიდი ზომის ნაწილებისგან შედგება და შესაძლებელია მათი ინდივიდუალურად აწყობა სხვადასხვა ნაწილების გამოყენებით, გემოვნების შესაბამისად.

ბრენდები: JUUL გლობალურ ბაზარზე ყველაზე გავრცელებული ელ.სიგარეტის ბრენდია. მისი გაყიდვები 2019 წელს მთლიანი ბაზრის 25%-ს აღემატებოდა, რაც ორჯერ მეტია ვიდრე მისი ყველაზე ახლო კონკურენტის გაყიდვები. JUUL-ის მარკეტირება მრავალმხრივ იქცევს დიდ ყურადღებას. მაგალითად, 2020 წლის თებერვალში აშშ-ს მასაჩუსეცის შტატის რწმუნებულმა კომპანიის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი და ამტკიცებს, რომ მათ „ახალგაზრდებში წამოიწყეს მწეველობის ეპიდემია ამ პროდუქტის ახალგაზრდებზე განზრახ მარკეტირებით“. ყველაფრის მიუხედავად, დღეისათვის ბაზარზე 450 განსხვავებული ბრენდის ელ. სიგარეტი

არსებობს. ზოგიერთი დიდი თამბაქოს კომპანია აწარმოებს საკუთარ ელ. სიგარეტს - British American Tobacco (Vype); Imperial Tobacco (blu); Japan Tobacco International (E-Lites, Logic); Philips Morris International (Mesh).

ელ. სიგარეტების არომატები, პოლიტიკა, პრაქტიკა და ახალგაზრდები

დღეისათვის ელ. სიგატერების 15 000-მდე არომატია ხელმისაწვდომი. მათ შორის სხვადასხვა დესერტების, ხილის, ჩაის, მარმელადის, მიწისთხილის კარაქის და ა.შ. არომატი.

ელ. სიგარეტების სითხე, რომელიც მოთავსებულია კარტრიჯში, შეიცავს სხვადასხვა არომატებს. იგი ასევე შეიცავს სხვადასხვა ნივთიერებებს, მათ შორის ნიკოტინს და მძიმე მეტალებს (ნიკელი, კალა, ტყვია). ზოგიერთი ნივთიერება, რომელიც ელ. სიგარეტების სითხეების შემადგენლობაში შედის, ასოცირებულია ფილტვის დაავადებებთან და კიბოსთან.

2017-2018 წლებში ელ. სიგარეტების მოხმარება აშშ-ს მოსწავლეებში 78%-ით გაიზარდა. იგივე პერიოდში არომატიზირებული პროდუქტების გამოყენება 61%-დან 68%-მდე გაიზარდა, რაც არომატებისადმი ახალგაზრდების განსაკუთრებულ ინტერესზე მეტყველებს.

2020 წლის იანვარში აშშ-ს საკვებისა და წამლის ადმინისტრაციამ (FDA – Food and Drug Administration) გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც ელ. სიგარეტებში ხილის და მენთოლის არომატების გამოყენება იზღუდება. ეს სწორედ ის არომატებია, რომელიც ყველაზე მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის.

ევროპაში ელ. სიგარეტების არომატებს კანონმდე-ბლობით 13 ქვეყანა არეგულირებს. გლობალურად კი, ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო, ელ. სიგარეტს განიხილავს როგორც თამბაქოს პროდუქტს და აქცევს სიგარეტის რეგულაციის ქვეშ.

გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები

ეს პროდუქტი წარმოადგენს ელექტრონულ მოწყობილობას, რომელიც მუშაობს ელემენტით და წვის ნაცვლად თამბაქოს ფოთოლს ახურებს ისეთ ტემპერატურამდე, რომ გამოიყოს ნიკოტინი. შესაბამისად, კომპრესირებული თამბაქოს გახურების შედეგად, წარმოიქმნება აეროზოლი. ეს პროდუქტები განსაკუთრებით პოპულარული ბოლო 5 წლის განმავლობაში გახდა. WHO-ს თანახმად, გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები უმეტეს წილად წარმოქმნიან იგივე მავნე ნივთიერებებს, რასაც ტრადიციული სიგარეტი.

ფაქტები:

- **გამოყენება:** 2014-დან 2019 წლამდე გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარება 100%-ით გაიზარდა.

- **ნიკოტინი:** ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები შეიცავენ შედარებით ნაკლებ ნიკოტინს (0,3-0,8 მგ), მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში ხდება არა თამბაქოს წვა, არამედ წვის პროცესამდე გახურება, შესუნთქვისას შეიწოვება მეტი ნიკოტინი.

- **შემადგენლობა:** რამოდენიმე ჰიბრიდული გამონაკლისის გარდა, გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები შეიცავს თამბაქოს და დამატებულ არომატიზატორს (არსებობის შემთხვევაში).

- **ვიზუალი:** გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები შესაძლოა გამოიყურებოდეს როგორც ელ. სიგარეტი. ელექტრონული მოწყობილობა არის ძირითადი დანადგარი, სადაც თავსდება პატარა ზომის სიგარეტის მსგავსი კარტრიჯი.

- **ბრენდები:** ყველაზე პოპულარული ბრენდია IQOS, რომელიც ეკუთვნის Philip Morris International-ს. ასევე გვხვდება ბრენდები ZeroStyle, PloomTech (Japan Tobacco International); iFuse, glo (British American Tobacco); Pulze (Imperial Tobacco).

გასახურებელი თამბაქოს მარკეტირება, პოლიტიკა, პრაქტიკა და ახალგაზრდები

- ინდუსტრია, ახალგაზრდების მისაზიდად, სპეციფიურ მარკეტინგულ ტაქტიკას იყენებს. პროდუქტები წარმოდგენილია როგორც მაღალი ტექნოლოგიის, ინოვაციური და შთამაგონებელი.

- 2019 წელს აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარება მზარდია სკოლის მოსწავლეებს შორის. მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება იაპონიაში, სადაც გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარება უფრო ნაკლებია, ვიდრე ელ. სიგარეტების, მაგრამ ხშირია ორმაგი (ორივე პროდუქტის) მოხმარება.

- გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების რეგულირება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. საქართველო ამ პროდუქტებს არეგულირებს როგორც თამბაქოს პროდუქტს, რადგან იგი შეიცავს თამბაქოს. მსგავსად რეგულირდება სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად იაპონიაში. გლობალურად, მინიმუმ 17 ქვეყანაში აკრძალულია გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების რეალიზაცია, გამოყენება და იმპორტი.

10 არგუმენტი თუ რატომ არის აუცილებელი თამბაქოს ახალი პროდუქტების მკაცრი და სწრაფი რეგულირება

1 ინდუსტრიის სამიზნე ახალგაზრდა მოსახლეობაა - ცდილობენ მათზე გავლენა იქონიონ სოციალური მედიის, ღონისძიებების დაფინანსების და სხვადასხვა არომატების გამოყენების საშუალებით.

2 ახალგაზრდები ელ. სიგარეტიდან გადადიან თამბაქოს მოხმარებაზე - ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც არასოდეს მოუწევიათ ტრადიციული სიგარეტი, ელ. სიგარეტის გასინჯვის შემდეგ 4-ჯერ იზრდება ტრადიციული სიგარეტის მოხმარების რისკი.

3 მწირი მტკიცებულებები მწეველებს შორის შემცირებული რისკის შესახებ - ფიქსირდება ორმაგი მოხმარების (თამბაქოს ახალი პროდუქტი ტრადიციულ სიგარეტთან ერთად) დომინანტური ტენდენცია.

4 უარყოფითი შედეგი ჯანდაცვის კუთხით - მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ზეგავლენა არამწეველებზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებზე, რაც დიდი ალბათობით გადაწონის თეორიულად შესაძლო სარგებელს მწეველებში, რომელიც ჯერ-ჯერობით არ დასტურდენა მტკიცებულებებით.

5 გამოყენებული იქნება „ხვრელები“ აღსრულებაში - განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებსაც დღეისათვის თამბაქოს კონტროლის სუსტი პოლიტიკა აქვთ.

6 ახალი პროდუქტები ასუსტებს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკას - თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია წარმოადგენს თამბაქოს კონტროლის სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ძირითად პოლიტიკის დოკუმენტს. თამბაქოს ახალი პროდუქტები პრობლემას უქმნის ჩარჩო კონვენციის სრულად განხორციელებას.

7 ახალი პროდუქტები იწვევს რესურსების გადინებას თამბაქოს კონტროლიდან - ახალი პროდუქტების ეფექტური რეგულირებისთვის საჭიროა შესაბამისი ფისკალური და ადამიანური რესურსები, რაც მწირი ბიუჯეტის მქონე ქვეყნებისთვის შესაძლოა დაბრკოლება იყოს და ეს რესურსი მოაკლდეს თამბაქოს კონტროლს.

8 ახალი პროდუქტები წარმოადგენს ინდუსტრიის მხრიდან ჩარევის შესაძლებლობას - მწარმოებლები ამ პროდუქტებს ფუთავენ როგორც შემცირებული რისკის მქონე პროდუქტს და წარმოგვიდგებიან როგორც რისკის შემცირების ექსპერტები, რომლებიც უნდა იყვნენ ჩართულები პოლიტიკის დისკუსიაში.

9 დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების კონტექსტი დრამატულად განსხვავებულია - მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების კონტექსტისგან.

10 უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა - გამოყენებული უნდა იყოს პრევენციული მექანიზმი. მკაცრად გაკონტროლდეს ისეთი პროდუქტები სადაც ჯერ-ჯერობით არ არსებობს მეცნიერული მტკიცებულება მათი უსაფრთხოების შესახებ.

წყარო:

"E-cigarettes, Heated Tobacco Products, and the Need for Bans in LMICS." International Union Against Tuberculosis and Lung Disease. The Union, May 11, 2022.
https://theunion.org/technical-publications/e-cigarettes-heated-tobacco-products-and-the-need-for-bans-in-lmics.
"Novel Products, Young People, and Policy." International Union Against Tuberculosis and Lung Disease. The Union, May 11, 2022.
https://theunion.org/technical-publications/novel-products-young-people-and-policy